ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №732198

ნომერი: AR1136993

თარიღი : 05.06.2013

გაცემის თარიღი : 10.06.2013

გაცნობის თარიღი : 11.06.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეველეს , N 7/9 , (ნაკვ.14/3) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერაბ მუნჯიშვილი პ/ნ 01011035439
- თბილისი ციხისძირის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge)

თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობა არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ საკადასტრო გეგმასა და ამონაწერში საჯარო რეესტრიდან, მის განთავსებაზე არც არქიტექტურის სამსახურს არ გაუცია შესაბამისი ნებართვა/გადაწყვეტილება. გამომდინარე აქედან ვასკვნით იმ გარემოებას, რომ არსებული შენობა უნებართვოა, ასეთ შემთხვევაში “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები და მასთან ერთად ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დადგენილება, უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის განხორციელებული დემონტაჟის თაობაზე. მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ იქნება საკითხის განხილვა შესაძლებელი, რომლის დროსაც საპროექტო სამუშაოების მიხედვით უნდა შეარჩიოთ ნომენკლატურა და ამასთანავე უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდით #01.17.12.014.024) დღეის მდგომარეობით მინიჭებული აქვს სამრეწველო ზონა 1–ის (ს–1) და სატრანსპორტო ზონა 1–ის (ტზ–1) სტატუსი. სატრანსპორტო ზონა 1 (ტრ-1) წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში _ ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს). აღნიშნულის გათვალისწინებით სატრანსპორტო ზონა 1–ის ფარგლებში მიუღებელია საჩრდილობლის მოწყობა. საპროექტო საჩრდილობელი შესაძლებელია მოეწყოს სამრეწველო ზონა 1–ის არეალში. გიგზავნით დანართს ფუნქციური ზონების დატანით.

ამასთანავე გაცნობებთ: საპროექტო ფოტომონტაჟი და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა გადაღებული უნდა იქნას ერთსა და იმავე რაკურსიდან.

რაც შეეხება საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობას, თანხმობა გაცემულია მხოლოდ საჩრდილობლის მოწყობაზე. მესაკუთრის თანხმობა გაიცეს ყველა საპროექტო სამუშაოზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.